

შპს „შვიდი ვაინი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
1 ზოგადი ინფორმაცია	7
2 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3 ძირითადი საშუალებები	14
4 მარაგები.....	15
5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	15
7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
8 მიღებული სესხები	16
9 ამონაგები.....	16
10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
12 დაკავშირებული მხარეები.....	17
13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	514,990	461,072
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,599,963	2,215,636
მარაგები	4	3,277,056	3,300,033
საგადასახადო აქტივი		-	16,267
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,392,009	5,993,008
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	324,919	313,355
სულ გრძელვადიანი აქტივები		324,919	313,355
სულ აქტივები		6,716,928	6,306,363
კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	3,735,767	3,528,008
საგადასახადო ვალდებულება		34,052	-
სასესხო ვალდებულებები	8	1,535,945	1,599,235
სულ ვალდებულებები		5,305,764	5,127,243
კაპიტალი და რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება		1,411,164	1,179,120
სულ კაპიტალი		1,411,164	1,179,120
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,716,928	6,306,363

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 6-18 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 ოქტომბერს.

დირექტორი

მალხაზ ტვილდიანი

შპს „შედი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	9	9,655,256	9,027,657
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(7,808,813)	(7,119,694)
საერთო მოგება		1,846,443	1,907,963
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,497,838)	(1,419,215)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(14,700)	(11,762)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(27,395)	(29,193)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		306,510	447,793
ფინანსური შემოსავალი		4,753	2,428
ფინანსური ხარჯი	8	(123,112)	(91,862)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		40,963	(61,142)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		2,930	(32,089)
მოგება/ზარალი გადასახადებამდე		232,044	265,128
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(7,539)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		232,044	257,589

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 6-18 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 ოქტომბერს.

დირექტორი

მალხაზ ტვილდიანი

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	10,860,121	10,342,479
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(8,770,689)	(8,431,220)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,830,523)	(1,758,462)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	258,909	152,797
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	(52,099)	(11,788)
მიღებული პროცენტები	4,756	2,429
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(47,343)	(9,359)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	6,375,862	4,624,178
სესხის ძირის გადახდა	(6,413,178)	(4,267,389)
სესხის პროცენტის გადახდა	(123,114)	(88,181)
დივიდენდების გადახდა	-	(200,055)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(160,430)	68,553
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	51,136	211,991
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	2,782	(954)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	461,072	250,035
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	514,990	461,072

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	879,310	879,310
წლის წმინდა მოგება	-	257,589	257,589
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	42,221	42,221
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	1,179,120	1,179,120
წლის წმინდა მოგება	-	232,044	232,044
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	1,411,164	1,411,164

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანია “შვიდი ვაინი” ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს სთავაზობს წარმოებისთვის საჭირო სხვადასხვა დამხმარე მასალას, საწარმოო ინვენტარსა და დანადგარებს. ასევე, კომპანია მომხმარებელს უზრუნველყოფს კვალიფიციური მომსახურების პაკეტებითა და ტექნოლოგიური კონსულტაციით. “შვიდი ვაინი” არის კომპანია “შვიდის” ქვებრენდი, რომელიც უკვე 25 წელია არსებობს საქართველოს ბაზარზე საკვები ინგრედიენტების ბიზნესში. ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ინგრედიენტების იმპორტი მალევე გახდა ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, ქუჩა თევდორე მღვდელი, N 59, საოფისე ფართი, სართული 2.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - მალხაზ ტვილდიანი.

2 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა („მსს ფასს“) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც თითოეული მათგანი საქმიანობს. კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

<u>თარიღი</u>	<u>USD</u>	<u>EUR</u>
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში და ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს-მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

შპს „შეიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს-მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

კომპანია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას ახდენს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობები	25
ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა	4
ელექტრონული მოწყობილობები	4-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	8

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

იჯარა

განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10-წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მინიჭებით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, იმპორტის საბაჟო გადასახადს და სხვა დაკავშირებულ ხარჯებს.

მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა, მაგალითად - ისეთი შვილობილი საწარმოების არსებობისას, რომლებიც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისათვის - 20%).

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

რისკები და სარგებელი მყიველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „შვიდი ვაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	მიწა	სხვა	სულ
პირვანდელი ღირებულება 31.12.2022	-	73,518	1,424	28,020	73,322	195,132	-	371,416
შემოსვლა	2,907	5,580	4,710	-	-	-	-	13,197
პირვანდელი ღირებულება 31.12.2023	2,907	79,098	6,134	28,020	73,322	195,132	-	384,613
შემოსვლა		5,913	5,137	12,064	16,274		646	40,034
გასვლა	-	-	-	(9,070)	-	-		(9,070)
პირვანდელი ღირებულება 31.12.2024	2,907	85,011	11,271	31,014	89,596	195,132	646	415,577
დაგროვილი ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	(24,420)	(203)	(16,525)	(917)	-	-	(42,065)
ცვეთა	(391)	(13,622)	(698)	(3,503)	(10,979)	-	-	(29,193)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(391)	(38,042)	(901)	(20,028)	(11,896)	-	-	(71,258)
ცვეთა	(363)	(14,140)	(1,233)	(3,281)	(8,250)		(128)	(27,395)
გასული ძს-ების დაგროვილი ცვეთა				7,995				7,995
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(754)	(52,182)	(2,134)	(15,314)	(20,146)	-	(128)	(90,658)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	-	49,098	1,221	11,495	72,405	195,132	-	329,351
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	2,516	41,056	5,233	7,992	61,426	195,132	-	313,355
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	2,153	32,829	9,137	15,700	69,450	195,132	518	324,919

*კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს საფინანსო ინსტიტუტებისაგან აღებული ვალდებულებების დაფარვის შესასრულებლად.

შპს „შვიდი ვაინი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4 მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	2,971,733	2,962,141
საქონელი გზაში	305,323	337,892
სულ	3,277,056	3,300,033

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,199,630	2,193,254
გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები	(44,448)	(43,648)
სულ	2,155,182	2,149,606

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	60,454	66,030
	60,454	66,030
	2,215,636	2,215,636

	31.12.2024	31.12.2023
გაუფასურებული მოთხოვნები		
საწყისი ნაშთი	(43,648)	(25,893)
წლის გაუფასურება	(800)	(24,555)
აღდგენა	-	6,800
საბოლოო ნაშთი	(44,448)	(43,648)

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	506,543	452,334
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,135	1,134
ეროვნული ვალუტა სალაროში	7,312	7,604
სულ	514,990	461,072

შპს „შვიდი ვაინი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	(2,404,083)	(2,299,855)
	(1,106,948)	(1,106,948)
მიღებული ავანსები	(2,517)	(116,526)
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	(14,460)	(4,679)
	(16,977)	(121,205)
	(3,528,008)	(3,528,008)

8 მიღებული სესხები

მიღებული სესხები შედგება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებისაგან.

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში	1,535,945	1,599,235
სულ	1,535,945	1,599,235

მიღებული სესხები დენომინირებულია ევროში და დოლარში.

სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს: ევროში - 5.9%, დოლარში 6.5%.

სესხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა მოძრავ ნივთზე და არამატერიალურ სიკეთეზე რეგისტრირებულია გირავნობის უფლება.

2024 საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 123,112 ლარი (2023: 91,862).

9 ამონაგები

	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	9,037,640	9,633,709
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(9,983)	(8,353)
სულ	9,027,657	9,625,356

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება საანგარიშგებო პერიოდში რეალიზებული სავაჭრო მარაგების თვითღირებულებისგან.

შპს „შვიდი ვაინი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი და მასთან გათანაბრებული ხარჯი	1,171,317	1,146,625
მარაგების ჩამოწერა	-	17,281
ოფისის იჯარის ხარჯი	137,753	104,772
კომუნალური ხარჯები	22,726	17,666
დაზღვევა	1,656	2,445
მივლინების ხარჯები	29,563	9,583
კომპიუტერის ხარჯი	5,262	1,986
წარმომადგენლობითი ხარჯი	4,329	5,880
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,793	14,457
საბანკო მომსახურება	15,603	7,056
ბიზნეს-კონსულტაციის ხარჯი	26,208	26,594
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	81,628	64,870
სულ	1,497,838	1,419,215

12 დაკავშირებული მხარეები

ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ნაშთები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,995	17,603
გადასახდელი დივიდენდები	1,106,948	1,106,948
ოპერაციები	2024	2024
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის	241,840	149,247
ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება		
გადახდილი დივიდენდი	-	200,055

13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიამ აიღო 5,602,845 ლარის სესხი.
2023 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიამ დაფარა 4,792,693 ლარის
სასესხო ვალდებულება.
2025 წლის 1 იანვრიდან 23 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა
საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს „შვიდი ვაინი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 23 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "შვიდი ვაინ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი	
	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	514990	461072
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	539509	2149606
სხვა პირებზე ავანსებები და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	60454	66030
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები		
მარაგები	3277056	3300033
მ.შ. - შზა პროდუქცია		
- სხვა	3277056	3300033
საინვესტიციო ქონება		
სხვა მოკლევადიანი აქტივები		16267
ბიოლოგიური აქტივები		
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	324919	313355
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	6716928	6306363
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	1639	2208
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი		
სავაჭრო ვალდებულებები	210203	2297647
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	14460	4679
საგადასახადო ვალდებულებები	34052	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2517	116526
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1535945	1599235
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		
მიღებული გრანტები		
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	1106948	1106948
სულ ვალდებულებები	5305764	5127243
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	141164	1179120
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ საკუთარი კაპიტალი	141164	1179120
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6716928	6306363
სულ მოკლევადიანი აქტივები	6352009	5993008
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5305764	5127243

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემისას 23.10.2025 წ.

დირექტორი _____ მალხაზ ტყეშელაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "შვიდი ვაინ"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ამონაგები		
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	9655256	9027657
- მომსახურების გაწევიდან	9655256	9025203
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		2454
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-7808813	-7119694
საერთო მოგება	1846443	1907963
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1171317	-1146625
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	-27395	-29193
საპროცენტო შემოსავალი	4753	2428
საპროცენტო ხარჯი	-123112	-91862
იჯარის ხარჯი	-137753	-104772
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-203468	-179580
სულ საოპერაციო ხარჯები	-1658292	-1549604
საოპერაციო მოგება	188151	358359
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		
მ.შ. - ფინანსური აქტივების		
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	40963	-61142
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	2930	-32089
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	232044	265128
მოგების გადასახადის ხარჯი		-7539
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	232044	257589
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	232044	257589
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1179120	1171698
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-250167
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1411164	1179120

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემის საფუძველზე 23.10.2025 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი ვაინ"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	258909	152797
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-47343	-9359
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-160430	68553
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	51136	211991
სავალუტო კურსის ეფექტი	2782	-954
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	461072	250035
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	514990	461072

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 23.10.2025 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.